ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6030564

ნომერი: AR1911266

თარიღი : 08.07.2022

გაცემის თარიღი : 12.07.2022

გაცნობის თარიღი : 12.07.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩა, N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე აბრამაშვილი პ/ნ 57201062955
- საქართველო, ხაშურის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხაშური, ბორჯომის ქუჩა, N 62

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: სამსახურის მიერ 12.06.2020 წ. № 4979460 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის მიხედვით სარეკონსტრუქციო ფართზე გათვალისწინებული იყო ავტოფარეხები, 05.03.2021 წ. № 5313740 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი დასტური ავტოფარეხების კარის ღიობების მოწყობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის - სარეკლამო აბრის მიხედვით ხდება ავტოფარეხის ფუნქციის ცვლილება, რაც დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.